მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ საჯდას შორის ამბობდა: «ღმერთო ჩემო მომიტევე მე, შემიწყალე, მომეცი ჯანმრთელობა, დამადგინე სწორ გზაზე და მომეცი სარჩო» /ალლაჰუმმა ღფირლიი, ვა-რჰამნიი, ვა - 'ააფინიი, ვა-ჰდინიი, ვა-რზუყნიი

გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ საჯდას შორის ამბობდა: «ღმერთო ჩემო მომიტევე მე, შემიწყალე, მომეცი ჯანმრთელობა, დამადგინე სწორ გზაზე და მომეცი სარჩო» /ალლაჰუმმა ღფირლიი, ვა-რჰამნიი, ვა - 'ააფინიი, ვა-ჰდინიი, ვა-რზუყნიი.

[კარგი თავისი მოწმეებით] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვის დროს ორ საჯდას შორის ამ ხუთი ვედრებით ევედრებოდა ხოლმე, რომელიც მუსლიმს ძალიან სჭირდება. ის ორივე ქვეყნის სიკეთეს აერთიანებს ამქვეყნის და იმ ქვეყნის, ცოდვების მიტევების თხოვნას და მათ დაფარვას, მათ პატიებას, წყალობის მოსვლას, ჯანმრთელობა ყოველგვარი ეჭვებიდან, ვნებებიდან, ავადმყოფობიდან და უბედურებებისგან, ღმერთს სთხოვს სწორ გზას, ჭეშმარიტებას და მასზე მტკიცედ ყოფნას, ითხოვს სარჩოს (წყალობას) რწმენის, ცოდნის, კარგი საქმის კეთების და კარგ ჰალალ ქონებას.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/10930